სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ კუმურდოს (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2015 წლის 18 მარტს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #1548) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „ხამანი" | 01.04.2015წ 15:50 სთ [illegible] | ნ. [signature] |
| 2 | შპს „არქიდექსი" | 01.04.2015წ 16:30 სთ [illegible] | ვ. [signature] |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატის წევრი
ე. ბოლქვაძე [signature]

**საგადასახადო დავალება**
**Payment Order**

# 1 GEL

თარიღი / Date: 31/03/2015

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2

31/03/2015 4:28:17 PM

რეფერენსი / Ref. Num. 1158437426

გადამხდელი / sender: *შპს სამანი, 404444650*

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE42TB7836436080100004

გადამხდელის ბანკი / Sender's bank: *სს თიბისი ბანკი*

ბანკის კოდი / Bank Code: *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: *შპს სამანი, 404444650*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 404444650

მიმღები / ReceIver: *ხაზინის ერთიანი ანგარიში. სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 707797130

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*

ბანკის კოდი / Bank Code: *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details: *საკონკურსო წინადადებების წარდგენის საფასური*

დამატებითი ინფორმაცია / Additional information: უნიკ. კოდი: 1548, შპს სამანი 404444650

თანხა / Amount: 50.00 GEL

თანხა სიტყვიერად / Amount in words: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

1158437426

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date: 31/03/2015

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

ნანა ოდიშარაშვილი

ხელმოწერები
Signatures

მ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით

მთაწმინდის სერვის ცენტრი №2
MTATSMINDA SERVICE CENTRE #2

02/106-01

# სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #2458364-7916873

თბილისი

2015 წლის 31 მარტი

სს "თიბისი ბანკი", წარმოდგენილი მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2ს სერვის მენეჯერი შორენა გოგოლაძე ,მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით:

| | |
|---|---|
| გარანტი: | სს "თიბისი ბანკი" |
| პრინციპალი : | შპს სამანი<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 404444650<br>რეგ. თარიღი: **29/04/2013** |
| ბენეფიციარი : | სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| გარანტიის თანხა : | 200.00 (ორასი ლარი) ლარი |
| გარანტიის გაცემის საფუძველი : | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისშედგენის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული კონკურსი. |
| გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება : | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა საგარანტიო წერილის პირობების შესაბამისად.<br>წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2ს კანცელარიაში სამუშაო საათებში. |
| გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: | "გარანტის" მიერ "ბენეფიციარისათვის" გარანტიის თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში:<br>თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ "პრინციპალმა" უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების ვადის დასრულებამდე;<br>თუ "პრინციპალი" გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე;<br>თუ "პრინციპალი" დისკვალიფიცირებულ იქნა პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო. |
| გარანტიის მოქმედების ვადა : | გარანტია ძალაში შედის 31.03.2015 და მოქმედებს 31.05.2015 ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ამ თარიღის ჩათვლით |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2ის სერვის მენეჯერი შორენა გოგოლაძე / -------------------- /

## აფიდავიტი

**საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☑ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^{1}$ მუხლის შესაბამისად.



# ყ უ მ უ რ დ ო

## საკათედრო ტაძარი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

შპს „სამანი"

ხელ-ლი ნ. მინდორაშვილი

2015 წელი

## კუმურდოს ტაძარზე ჩატარებული
## სამუშაოების მოკლე ისტორია

კუმურდოს საკათედრო ტაძარი მდებარეობს საქართველოს ისტორიულ პროვინცია – ჯავახეთში, ახალქალაქიდან 10-12 კმ-ის დაშორებით, სოფ. კუმურდოში.

ტაძარი დახვეწილი პროპორციებით, ორიგინალური გეგმარებით, დეკორით და უხვი ეპიგრაფიკული მასალით, ჩვენი წარსული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია და წარმოადგენს X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების სრულყოფილ ქმნილებას.მრავალრიცხოვანი წარწერების წყალობით ჩვენთვის ცნობილია ძეგლის აგების ზუსტი თარიღი (964წ). ქტიტორის ვინაობა და ხუროთმოძღვრის სახელიც კი. აგრეთვე ძეგლზე შემდგომ საუკუნეებში ჩატარებული მშენებლობის თარიღები.

კუმურდოს ტაძარი, დაწყებული XIX ს-ის II ნახევრიდან დღემდე მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის და ყურადღების საგანია. იგი ძირფესვიანად შეისწავლა აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა აკადემიკოს სევეროვთან ერთად და 40-იან წლებში მონოგრაფიაც გამოაქვეყნა ნახაზებით და ფოტოებით, სადაც მკაფიოდ განსაზღვრა მისი როლი და მნიშვნელობა ქართული არქიტექტურის განვითარების გზაზე.

კუმურდოს ტაძარი გეგმით ხუთაფსიდიანი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა დაგრძელებული დასავლეთი მკლავით, თანადროული სამხრეთის კარიბჭითა და დასავლეთის მკლავის ირგვლივ XI ს-ის გარშემოსავლელით. ტაძარზე განირჩევა ერთმანეთისაგან განსხვავებული მშენებლობის სამი ძირითადი ფენა:

I ფენა—საკუთრივ X საუკუნის ტაძარი, რომელიც აღაშენა 964 წელს „ლეონ მეფობისასა" ეპისკოპოსმა იოანე კუმურდოელმა „ხელთა ცოდვილითა საკოცარისაითა".

II ფენა— დასავლეთი მკლავის გარშემოსავლელი, აგებული XI -ში მარიამ დედოფლის და ეპისკოპოს ზოსიმე კუმურდოელის დროს.

III ფენა—-XVI ს-ში კიდევ ერთი ზოსიმე კუმურდოელის მიერ ჩატარებული მშენებლობა დასავლეთი მკლავის ფარგლებში, რომლისგანაც დარჩენილია დასავლეთის კედელი წარწერით დასავლეთის შესასვლელის არქიტრავზე. ეს ფენა მდარე და უხეში მშენებლობის დონით მკვეთრად განსხვავდება პირველი ორისაგან.

მშენებლობის შემდგომი პერიოდი უკვე 1938-39 წლებია, როდესაც რუსთაველის დღეებთან დაკავშირებით ჩაატარეს გამაგრებითი სარემონტო სამუშაოები.

ჩვენს დრომდე ტაძარმა ძალიან დაზიანებული სახით მოაღწია. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე გადაღებულ ფოტოებზე აღბეჭდილია მისი იმდროინდელი მდგომარეობა:

- აღარ არსებობდა გუმბათი და თითქმის მთლიანად დასავლეთი მკლავი.
- ადგილებში ჩაქცეული იყო ჩრდილოეთის და სამხრეთ მკლავებში გადახურვები.
- აღარ არსებობდა გარშემოსავლელის დასავლეთი მოცულობა.
- აღარ არსებობდა გადახურვები ამავე გარშემოსავლელის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებზე და გარე კედლების დასავლეთი მონაკვეთები.
- საპირე წყობის ქვებისაგან გაძარცული იყო მთავარი ტაძრის კედლების დიდი უბნები როგორც ფასადებზე, ასევე ინტერიერში.
- დასავლეთის მკლავი მთავარი ტაძრისაგან გამიჯნული იყო ფლეთილი ქვით აგებული კედლით. ასეთივე კედლები იყო ჩადგმული სამხრეთ და ჩრდილოეთ მინაშენებში დასავლეთიდან.
- მთავარი ტაძარი საწყობად იყო გამოყენებული, სამხრეთ და ჩრდილოეთ მინაშენებში იყო ყველის ქარხნა და საწყობი, რისთვისაც XI საუკუნის კედლებში ბეტონის აბაზანები იყო ჩადგმული.
- დასავლეთი მკლავი ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის სამლოცველოდ იყო გამოყენებული, ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი ბანიანი გადახურვით.

1938-39 წლებში ჩატარებული სამუშაოები კრიტიკას ვერ უძლებს. კედლების შემოძარცვული უბნები ძალიან უხარისხოდ აღადგინეს. შეუფერებელი, მცირე ზომის, მუქი რუხი ფერის თლილი ქვებით, ჩამონალევენთით გათხუპნული იმდროინდელი წყობა ძალიან ამახინჯებს ძეგლს. ასევე უხარისხოდ იყო აღდგენილი მკლავების კამარებიც სამხრეთი მინაშენის კედლებზე შემორჩენილი კარნიზი შეცვალეს თარო-კარნიზით. სხვა სამუშაოები არ ჩატარებულა, თუმცა ცუდ მდგომარეობაში იყო გუმბათქვეშა თაღები და გუმბათის ყელის ძირიც.

1973 წლისთვის ძეგლზე ავარიული მდგომარეობა იყო შექმნილი: გუმბათქვეშა 2 თაღი და კამარები იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ სასწრაფოდ იყო ჩასატარებელი გამაგრებითი სამუშაოები. ამიტომ, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მეთოდურ საბჭოზე გადაწყდა დაუყოვნებლივ ჩაგვეტარებინა საავარიო ხასიათის სამუშაოები, პარალელურად შეგვესწავლა ძეგლი და ეტაპობრივად დაგვემუშავებინა აღდგენის პროექტები.

ძეგლზე I რიგის გადაუდებელი სამუშაოები დაიწყო 1974 წელს და მას შემდეგ აქ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა:

- მკლავები გადაიხურა დროებითი თუნუქის სახურავით.

. აღდგა და გამაგრდა გუმბათქვეშა თაღები.

. მოიხსა მე-19 საუკუნეში ჩაშენებული ფლეთილი ქვის კედლები.

. დაიშალა დასავლეთ მკლავში ჩაშენებული, უკვე ავარიული სამლოცველო.

. გაიწმინდა სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები ბეტონის აბაზანებისა და მიწისაგან.

. აღდგა გუმბათის ძირი და წრიული სარტყელი.

. შემდგომ, კამარების აღდგენისათვის მოიხსნა თუნუქის სახურავი,

. დაიშალა უხარისხო ქვით აღდგენილი კამარები სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში და აღდგა ხელახლა ძველი ქვების ნაწილობრივ გამოყენებით.

. არასრულად მოეწყო სახურავი ქვის ლორფინებით

პარალელურად მიმდინარეობდა კვლევითი და საპროექტო სამუშაოები, 1975-76 წლებში ძეგლი აიზომა და გამოიხაზა. ესკიზური პროექტი დამუშავდა 1979 წელს და საბჭოზე რამოდენიმეჯერ იყო განხილული და შეთანხმებული.

ძეგლზე მუშაობის მრავალწლიან პროცესში თვალსაჩინოდ უარესდებოდა დასავლეთი მკლავის გარშემოსავლელის გადარჩენილი ნაწილის მდგომარეობა, განსაკუთრებით სამხრეთი მინაშენისა. ამიტომ 1990 წელს დამუშავდა მისი აღდგენის სამუშაო პროექტი (ინახება არქივში.) აღსანიშნავია, რომ 1985-89 წლებში, ლორფინის სახურავის მოწყობა სრულყოფილად ვერ განხორციელდა, რადგან დასავლეთი მკლავის უქონლობამ ამ ნაწილში სახურავის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა არ მოგვცა. ასევე, მკლავების სახურავებსა და გუმბათქვეშა კვადრატებს შორის დარჩენილია ვიწრო ზოლი (ხელოსნის ინფორმაციით) რის გამოც ეს უბანიც არ არის დაცული ნალექებისგან.

### ტაძრის არსებული მდგომარეობა

კუმურდოში სამუშაოების წარმოება 1989 წელს შეჩერდა და აღარ განახლებულა. 25 წლის განმავლობაში უპატრონოდ მიტოვებული ძეგლის მდგომარეობა ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებით და ადგილობრივთა უდიერი დამოკიდებულების შედეგად თანდათან უარესდებოდა. სადღეისოდ ძეგლის ტექნიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

. გუმბათქვეშა თაღებზე ჟონავს წყალი და იფიტება წყობა (გუმბათის უქონლობის გამო)

. განსაკუთრებით მძიმეა დასავლეთი მკლავის სამხრეთი მინაშენის მდგომარეობა. გადარჩენილი კედლების წყობა ძალიან შესუსტებულია.

კედლებიდან ცვივა ქვები– დაკარგულია ბოლო თაღის წყობის სამი ქვა, მათ შორის ორი ორნამენტიანი. ინტერიერში მომძლავრებულია მცენარეები.

. ასეთივე მდგომარეობაა ჩრდილოეთ მინაშენზე.

. კედლებზე, სახურავზე, წყობის ქვედა რიგების ნაკერებში მომძლავრებულია ბალახი, ფასადების დიდ ნაწილზე და სახურავზე – ლიქენები

. მძიმეა ტაძრის თანადროული სამხრეთი კარიბჭის მდგომარეობა გადარჩენილია აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილის კედლების გული, დუღაბზე აღბეჭდილი ქვების ბუდეებით, რაც ნელნელა იშლება. გადასარჩენია ადგილზე შემონახული გუმბათქვეშა ტრომპები ანგელოზების რელიეფებით.

. ძეგლის ირგვლივ მიწის დონე ამაღლებულია, მიწით დაფარულია გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილის სავარაუდო ნაშთები.

მთავარი ტაძრის ცოკოლის სამი საფეხურიდან ქვედა საფეხური მიწითაა დაფარული.

## ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების კონცეფცია

კუმურდოს ტაძარი მდებარეობს ჯავახეთის პლატოზე, მკაცრ კლიმატურ პირობებში და მისთვის არახელსაყრელ გარემოცვაში. ძეგლის სრულყოფილად დაცვას როგორც ატმოსფერული მოვლენების, ასევე ადამიანთა უარყოფითი ზემოქმედებისაგან მხოლოდ მისი სრული რეაბილიტაცია უზრუნველყოფს.

1. სახურავების მოწყობის დასამთავრებლად აუცილებელია დასავლეთი მკლავის აღდგენა, პირველ ეტაპზე ნაწილობრივ მაინც აღმოსავლეთი მონაკვეთის ფარგლებში.

2. აუცილებელია გუმბათის დადგმა, რადგანაც ძეგლი მის გარეშე საიმედოდ ვერ იქნება დაცული ატმოსფერული ზემოქმედებისაგან. მის იერსახეს ინტერიერიდან და წახნაგების რაოდენობას გარედან განსაზღვრავს ინტერიერში გუმბათის სარტყელზე არსებული ლილვებიანი სამკურა ნიშები, კუმურდოს ტაძრისა და ამ პერიოდის სხვა ძეგლების სტრუქტურული ანალიზი.

3. აუცილებელია თანადროული სამხრეთი კარიბჭის აღდგენა და სახურავქვეშ მოქცევა, რათა საიმედოდ იყოს დაცული შესასვლელის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი წარწერები და დასაღუპად განწირული ტრომპების ნაშთები ანგელოზების რელიეფებით. 4 ქვიდან ანგელოზიანი ერთი ქვა ჩამოვარდნილია და იქვეა შენახული.

4. აუცილებელია დასავლეთი მკლავის ირგვლივ XI ს-ის გარშემოსავლელის ნაშთებზე გარკვეული სამუშაოების შესრულება:

ა). პირველ რიგში საჭიროა არქეოლოგიურად შესწავლილ იქნას ტერიტორია დასავლეთ უბანში, გარშემოსავლელის გეგმის გამოვლენის და გაბარიტების დაზუსტების მიზნით.

ბ). გარშემოსავლელის სამხრეთი მოცულობის ნაშთების მძიმე მდგომარეობის გამო საჭიროა გადაუდებლად ჩატარდეს მასზე სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი დამუშავებულია და ინახება არქივში. საჭირო იქნება მისი დასავლეთი ნაწილის კორექტირება გათხრების შემდეგ.

გ). არქეოლოგიური გათხრების მონაცემებზე დაყრდნობით, პირველ ეტაპზე უნდა დამუშავდეს გარშემოსავლელის სრული აღდგენის გრაფიკული ვარიანტი, რაც შესაძლებელს გახდის დავაზუსტოთ საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლები და მეთოდი.

5). ძეგლის ირგვლივ მიწის დონე ამაღლებულია საშუალოდ 0.4 მ-ით. მიწა უნდა მოიჭრას არქეოლოგის ზედამხედველობით, ცოკოლის I საფეხურის გამოვლენამდე.

6). ჩვენს ხელთ არსებული ნახაზების კორექტირების შემდეგ საჭიროა დამუშავდეს ძეგლის ნაწილობრივ კონსერვაციისა და რეაბილიტაციის ესკიზური პროექტი, რაც განხილული უნდა იქნას სააგენტოს საკონსულტაციო მეთოდურ საბჭოზე. შეთანხმების შემდეგ ეტაპობრივად უნდა დამუშავდეს რეაბილიტაციის სამუშაო ნახაზები ძეგლის მდგომარეობიდან გამომდინარე რიგითობის მიხედვით.

არქიტ.რესტავრატორი თ. ნემსაძე

P.S. არქივში ინახება: 1. კროკები – ფურცლების 26 ერთეული

2. დოკუმენტური ფოტოფიქსაციის დიდი რაოდენობის ფოტოანაბეჭდები

3. გარშემოსავლელის სამხრეთი მოცულობის აღდგენის სამუშაო პროექტი

4. ძეგლის ანაზომები, ესკიზური პროექტი და სხვა მასალები ინახება ჩემთან

ანაზომები – 1975-76 წწ

1. გეგმა
2. აღმოსავლეთი ფასადი
3. დასავლეთი ფასადი
4. სამხრეთი ფასადი
5. გრძივი ჭრილი – ხედი სამხრეთით
6. განივი ჭრილი – ხედი დასავლეთით













საპროექტო წინადადება – 1979 წ

1. გეგმა
2. სამხრეთი ფასადი
3. გრძივი ჭრილი – ხედი სამხრეთით







## შესრულებული სამუშაოები – 1983 - 1985 წწ

1. ჭრილი სამხრეთის მკლავზე
2. ჭრილი ჩრდილოეთის მკლავზე
3. ჭრილი აღმოსავლეთის მკლავზე

10264.







კუმურდოს ტაძრის მდგომარეობა 1939 წელს

ჩატარებულ სამუშაოებამდე – 7 ფოტო



დასავლეთი ფასადი – ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



აღმოსავლეთი ფასადი



ჩრდილოეთის ფასადი



საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



ბარფეზოსავლელის სამხრეთი ფასადი



საყდარი, ჩრდილოეთი სამხრეთი კარიბჭის სამხრეთი თაღის ჩავარდნილი ნაწილის ქვები.



სამხრეთი კარიბჭის მდგომარეობა

ძეგლის მდგომარეობის უახლესი

ფოტომასალა



საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



აღმოსავლეთი ფასადი



საერთო ხედი ტაძარზე სამხრეთიდან



ჩრდილოეთი ფასადი



სამხრეთი კარიბჭის მდგომარეობა



ჩრდილოეთი ფასადი



კედელზე დასავლეთი მკლავის ანაბეჭდი

ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



ხედი ტაძარზე დასავლეთიდან. ზედა ნაწილი



წინა პლანზე– სამხრეთი მინაშენის

ჩრდ.აღმოსავლეთი კუთხე აფსიდთან



საერთო ხედი ტაძრის სამხრეთ მკლავზე.

კარიბჭით



ხედი დასავლეთის მკლავიდან

აღმოსავლეთით



ჩრდილოეთი მინაშენის ფასადის

აღმოსავლეთი ფრაგმენტი (XIს)



სამხრეთი მინაშენის ფრაგმენტი (დასავლეთი ნაწილი)



სამხრეთი მინაშენის ფრაგმენტი (შუა ნაწილი)



საერთო ხედი სამხრეთ მინაშენზე (XIს)



სამხრეთი მინაშენის ფრაგმენტი (აღმ. ნაწილი)



მდგომარეობა სამხრეთ მინაშენის ინტერიერში



ჩრდილოეთი მინაშენის აღმოსავლეთი კედელი შიგნიდან



დასავლეთი მკლავის დასავლ. კედელი გარედან (XVI ს)



სამხრეთი მინაშენის აფსიდი



ჩრდილოეთი მინაშენის ფასადის ფრაგმენტი. (XIს)



ტაძრის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი შიგნიდან



სამხრეთი მინაშენის სამხრ. კედლის აღმოსავლეთი ნაწილი



სამხრეთი კარიბჭის ჩრდ.დასავლეთი ტრომპის ნაშთი



თანადროული სამხრეთი კარიბჭის ჩრდილოეთი კედელი



სამხრეთ კარიბჭის აფსიდის მდგომარეობა



დასავლეთი მკლავის ანაბეჭდები დასავლეთის

გუმბათქვეშა თაღის გასწვრივ.



სამხრეთი კარიბჭის ფრაგმენტი–ხედი სამხრ.-დასავლეთიდან.

წინა  პლანზეა სტელის ფრაგმენტი



ლიქენები ჩრდილოეთის სარკმელთან



აღმოსავლეთის გუმბათქვეშა თაღი



ტაძრის სამხრეთ-აღმ. კუთხის ტრომპის მდგომარეობა



ლიქენები აღმოსავლეთ ფასადის ნიშაზე

1. რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: | შპს "სამანი" |
| ხელმძღვანელის სახელი და გვარი: | ნოდარ მინდორაშვილი |
| კონკურსანტის იურიდიული მისამართი: | ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №22 |
| კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: | ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 404 444 650 |
| კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: | +995 599 76 98 90 |
| ელექტრონული მისამართი: | likachinchaladze@yahoo.com |
| ბანკის კოდი: | **TBCBGE22** |
| ანგარიშსწორების ანგარიში: | **GE42 TB78 3643 6080 1000 04** |
| 2. საკონკურსო წინადადების ფასი: | 20 000 ლარი |
| 3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: | 2015 წლის 01 მაისის ჩათვლით |
| 4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: | 30% |

შპს "სამანი"-ს დირექტორი /ნოდარ მინდორაშვილი/

## *ინფორმაცია გამოცდილების შესახებ*

| # | მომსახურეობის დასახელება | ხელშეკრულების თარიღი | შემსყიდველი ორგანიზაციის (დამკვეთის) დასახელება | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარებში) | შემსრულებელი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის სვეტიცხოვლის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშოები | 23.04.2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | **27414.12** | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 2 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხოველის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშოები | 17.03..2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | **22642.15** | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 3 | დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშოები | 17.03..2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | **95870.26** | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 4 | ქალაქ თბილისის დაბა წყნეთის წმინდა გიორგის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშოები | 23.04..2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | **97117.92** | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 5 | საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ყანდაურას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშოები | 23.04..2014წ | ა(ა)იპ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდი | **80300.42** | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |
| 6 | სოფ. კალაურის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) იოანე ნატლისმცემლის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 07.08.2014წ | სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | **25000.00** | შპს " სამანი" ს/კ 404444650 |

შპს "სამანი"-ს დირექტორი /ნოდარ მინდორაშვილი/

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **რუსუდან გურამიშვილი** |
| მისამართი | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., III კვარტ., XI კორპ. ბ. 30 |
| ტელეფონი | 32-10-70 |
| დაბადების თარიღი | 25.07.1943წ. |
| დაბადების ადგილი | ქ. თბილისი |
| მოქალაქეობა | საქართველოს მოქალაქე |
| | პირადობის მოწმობის №ბ 0288258 |
| | პირადი №01009015021 |
| განათლება | უმაღლესი |
| 1962-1968 | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით არქიტექტურა. |
| ენები | ქართული, რუსული |

## პროფესიული გამოცდილება

| | |
|---|---|
| 1968-1979წ. | საპროექტო ინსტიტუტი „საქსოფლმშენსახპროექტი". არქიტექტორი. |
| 1979-1981წ. | საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი". პროექტის მთავარი არქიტექტორი. |
| 1981-2005 | ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელწოდებით არსებული საპროექტო. წამყვანი არქიტექტორ-რესტავრატორი. |
| 2006-2013 | საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი. არქიტექტორ-რესტავრატორი. სამეცნიერო საბჭოს წევრი. |

## პრაქტიკოს-რესტავრატორის გამოცდილება-პროექტები და განხორციელება

1981-2013 წ.

* ერეკლე მეფის აბანო ქ. თელავში, განხორც.
* სოფ. ალავერდის „ღვთისმშობლის" ეკლესია ზესტაფონის რაიონში, განხორც.
* მღვიმევის სამონასტრო კომპლექსი ქ. ჭიათურაში, განხორც.
* სოფ. დარკვეთის „წმ. გიორგის" ეკლესია ჭიათურის რაიონში, განხორც.
*სოფ. გვიშტიბის „წმ. გიორგის" ეკლესია წყალტუბოს რაიონში, განხორც.
*როსტომ მეფის აბანო ქ. თბილისში, განხორც.
* წერაქვის სამონასტრო კომპლექსი მარნეულის რაიონში, სამხრ.კარიბჭის აღდგ. პროექტი და განხორციელება
* ნინოწმინდის მუნიციპ. სოფ. ფარავნა. ქარვასლა - პროექტი
* ნინოწმინდის მუნიციპ. სოფ. ფარავნა. მცირე ეკლესია - პროექტი
* „წმ. ბარბალეს" ეკლესია ახალციხის რაიონის სოფ. ხეოთში, განხორც.
* ხიდი მდ. ოცხის წყალზე ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანში, განხორც.
* მესტიის რაიონის სოფლეისვეფი. "ჯგრაგ" – 2002-2003 წ. განხორც.
* ფხოტრერი. მთავარანგელოზის ეკლესია "თარინგზელ" განხორც.
* მესტია. ლაღამი "მაცხვარიში" – 2003 წ. განხორც.

* ჯავახეთის ახალქალაქის ციხე - პროექტი
* ნგრევის შედეგების საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ვარძიაში,– 2002 წ. - განხორც.
* კონცეფცია ვარძიაში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, – 2002-03 წ.
* გრემის ნაქალაქარი – ბერების საცხოვრებელი სახლი. ასპინძის მუნიციპაგარა. განხორც.
* ასპინძის მუნიციპ. დედათა მონასტერი. განხორც.
* რკონის წმ. სვიმეონ მესვეტის კოშკი კასპის რაიონში, განხორც.
* თოკის სამონასტრო კომპლექსი ასპინძის რაიონში, განხორც. – 2012-13 წ.
* ატენის „სიონის“ სუბსტრუქციის სარეაბილიტაციო სამუშაოები, განხორც.
* ობოლეთის ორნავიანი ეკლესია – აღდგენითი სამუშ. ხელმძღვანელი.
* კანკელი. საფარის "წმ. საბას" ეკლესიაში
* კანკელი წალწნჯიხის " მაცხოვრის ფერისცვალების" ეკლესიაში.

ბოლო (2014 წლამდე) წლებში განხორციელებული პროექტები და რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა

* ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ზედა საქარა დარბაზული ეკლესია. XIX ს. პროექტი და წარმოების ხელმძღვანელობა– 2009
* ლენტეხის მუნიციპალიტეტი. სოფ. ხოფური. წმ. გიორგის ეკლესია, რეაბილიტაციის პროექტი და განხორციელება– 2008 წ.
* ლენტეხის რაიონი. სოფ ყვედრეში. წმ. გიორგის ეკლესია – 2008 წ.
* წალენჯიხა. "მაცხოვრის ფერისცვალების" ეკლესია. გარშემოსავლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 2009 წ.
* ტყიბულის მუნიციპალიტეტი. სოფ. კურსები. ეკლესია დედაღვთისა – 2009 წ.
* ტყიბულის მუნიციპალიტეტი. სოფ. კურსები. სამრეკლოს ფანჩატურის აღდგენის პროექტი – 2009 წ.
* ხარაგაულის მუნიციპ. ამაშუკეთის მიდამოები. "კოზმა და დამიანეს" ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი და განხორციელება – 2007 წ.
* ახალციხის მუნიციპ. მაჭიხეთის ორნავიანი ეკლესიის რეაბილიტაცია. 2011-2013წ.
* ატენის სიონი. სუბსტრუქციის სარეაბილიტაციო სამუშოები 2004-2005 წ.
* ასპინძის მუნიციპ. ობოლეთის ორნავიანი ეკლესიის რეაბილიტაცია 2008-2013 წ.
* საფარა. "წმ. საბას" ტაძარი და სამრეკლო. რეაბილიტაციის პროექტი – 2013 წ.
* შორეთის მონასტერი. IX – XIVს. რეაბილიტაციის პროექტი. 2012-13 წ.
* ფითოლეთი. გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილის აღდგენის პროექტი – 2011 წ.
* წყალტუბოს მუნიციპ. წმ. პანტელეიმონის მცირე დარბაზული ეკლესია. (ახალი) – 2012 წ.
* ჭიათურა. მღვიმევი. დედათა მონასტრის პროექტი (ახალი). (მიმდინარეობს მშენებლობა) – 2013 წ.

ს. [signature]

შპს „სამანი“ • "SAMANI" LLC
404444650

# CV



## საკვალიფიკაციო მონაცემები

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი: | ნოდარ მინდორაშვილი |
| დაბადების თარიღი: | 1951 წ. 29 ივნისი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №22 |
| | ტელ. : 92-17-21 ; 899-76-98-90 |
| ენების ცოდნა: | ქართული, რუსული |

ძირითადი კვალიფიკაცია: 1975 წლიდან მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში, 1980-83 წლებში პარალელურად თანამშრომლობს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან, როგორც არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შესრულდა არქეოლოგიური ძეგლების დეტალური ანაზომები. დამუშავდა ჟინვალის ნაქალაქარიდან უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადატანის პროექტი. მარკირებისა და სათანადო ქარგილების გამოყენებით გადატანილია: 1) ხერთვისის კოშკის კომპლექსი დაბა ჟინვალში; 2) XIII ს. საცხოვრებელი დარბაზის ფრაგმენტები; 3) კერამიკის გამოსაწვავი ქურა; 4) XIII ს. აკლდამა; 5) მცირე ეკლესია აკლდამით; 6) წარმართული ხანის საკურთხეველი საიდუმლო გასასვლელით.

განათლება: 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტორ-რესტავრატორის პირველი გამოშვება.

სამუშაო გამოცდილება: 1975-1977 წლამდე მუშაობდა კულტურის სამინისტროს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო კანტორა „კულტპროექტში" (რუსთაველის პროსპექტი).

1977 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოში (ყიფშიძის ქ. №34), შემდგომში საპროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია" ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ცენტრში პროექტის მთ. არქიტეტორად.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს ხელშეკრულებით: საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრში არქიტექტორ-რესტავრატორად.

1975 წლიდან შესრულებულია მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით:

### გარდაბნის რაიონი

1. მარტყოფის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის პროექტი. 1975-76 წწ.

2. სოფ. საცხენისის დარბაზული ეკლესია. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად (აზომვები).
3. მარტყოფის გუმბათიანი ეკლესია. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად (აზომვები).

<u>თერჯოლის რაიონი</u>

1. დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი ზემო სიმონეთში. აღდგენილია 1979 წ.

<u>ხელვაჩაურის რაიონი</u>

1. გონიოს ციხე. V-XVII სს. აღდგენა მიმდინარეობდა ეტაპობრივად. აღდგენილია ციხე-გალავანი და კოშკების ძირითადი ნაწილი.

<u>2. სოფ. სარფი. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. ( ანაზომი რესტავრაციის ესკიზური პროექტის ავტორი რ. ცხადაძესთან ერთად 2002 წელი).</u>

<u>ხულოს რაიონი</u>

1. ვერნების XI სს. დარბაზული ეკლესია. ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაცია. 1979 წ. ხელმძღვანელი.
2. ფურტიოს და დანდალოს ხიდები შუა საუკუნეების. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1980 წ.

<u>3. ხიხანის ციხე . ( ანაზომი რესტავრაციის პროექტის ავტორი თ. დვალთან, ა. შაქერდაშვილთან და გ. ქალებაშვილთან ერთად 2012 წელი).</u>

<u>ქ. თბილისი</u>

1. ვორონცოვის კოშკი – აღდგენილია 1980 წ.
2. ერეკლეს მოედანი. გიორგი XII-ს სასახლე. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1984 წ.
3. ბოტანიკური ბაღი. ძველი ხიდი შუა საუკუნეების. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1986 წ.
4. სიონის ეკლესია განვით. შუა საუკუნეები. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად. 1980 წ.

<u>გურჯაანის რაიონი</u>

1. ველისციხის სამეკლესიიანი ბაზილიკა VI-VII სს. აღდგენილია 1984 წ.
2. ველისციხის სამრეკლო XIX სს. აღდგენილია 1994 წ.
3. სოფ. კოლაგი. წმ. მარიამის ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეები. რესტავრაციის პროექტი. 1991 წ.
4. სოფ. კოლაგი. მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ეკლესია. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
5. სოფ. კოლაგი. ვაჩნაძიანის დიდი ციხე. რესტ. პროექტი. 1992 წ.
6. სოფ. კოლაგი. ვაჩნაძიაანთ პატარა ციხე. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
7. დავით გარეჯის დარბაზული ეკლესია. XVI ს. აღდგენილია 2000 წ. (გურჯაანში).
8. კვირაცხოველის დარბაზული ეკლესია სოფ. სახასოში. პროექტი.
9. კარდანახის გუმბათიანი ეკლესია. კანკელი.
10. ქ. გურჯაანი. ზღუდრის ეკლესია XVII სს. აღდგენილია 1985 წ.

<u>თელავის რაიონი</u>

1. კისისხევის „კონდამიანი“. VII სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა, ესკიზური პროექტი. 1985 წ.
2. კისისხევის გუმბათიანი ეკლესია. VI ს. ესკიზური პროექტი. 1985 წ.
3. კისისხევი. წმ. ნინოს VI ს. სამეკლესიიანი ბაზილიკა 1995 წ. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად.

<u>დედოფლისწყაროს რაიონი</u>

1. ტიბაანის კომპლექსი. ეპისკოპოსის სასახლე. აღდგენილია 1985 წ.

<u>მცხეთის რაიონი</u>

1. ანტიოქია მცხეთაში. IV ს. ჯგუფთან ერთად. აღდგენილია 1978 წ.
2. სვეტიცხოვლის გუმბათის ფიქსაცია XII ს. ჯგუფთან ერთად. 1977 წ.
3. სვეტიცხოველი. ეპისკოპოსის სასახლე XII ს. ფიქსაცია ჯგუფთან ერთად.1998წ
4. ბაგინეთი. რომაული აბანო II ს. აღდგენილია 1993 წ.
5. წილკანი. გუმბათიანი ეკლესია. პროექტის ავტორი. აღდგენილია 1983 წ.
6. წილკანი. გალავანი და კოშკები. აღდგენილია 1983 წ.

<u>ცხინვალის რაიონი</u>

1. ნიქოზის ერისთავების სასახლე. VIII ს. ესკიზური პროექტი. 1984 წ.

<u>საჩხერის რაიონი</u>

1. სავანეს წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. XI ს. აღდგენილია 1997 წ.
2. სავანეს წმ. ნიკოლოზის გუმბათიანი ეკლესია. XV ს. აღდგენილია 1991 წ.
3. საჩხერის წმ. ნინოს გუმბათიანი ტაძარი. XV ს. აღდგენილია 1993 წ.
4. ჭალის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია. XII ს. აღდგენილია 1991 წ.

<u>ყაზბეგის რაიონი</u>

1. სოფ. ახალციხის სამნავიანი ბაზილიკა. X ს. აღდგენილია .
2. ტყარშეთის „მამაწმინდის“ დარბაზული ეკლესია. X ს. რესტავრაციის პროექტი. 1982 წ.
3. სნოს ციხე-გალავანი. აღდგენილია (არქ. ზედამხედველობა) 1982 წ.
4. ყაზბეგში ჩოფიკაშვილების საცხოვრებელი კომპლექსი. გვიანი შუა საუკუნეები. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი. 1983 წ.
5. დარიალის ციხე (თამარის ციხე) ადრეული შუა საუკუნეები. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი. 1983 წ.
6. სოფ. ფხელშე. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები. აღდგენილია 1983 წ.

1. გელათის აკადემია. შუა საუკუნეები. ფიქსაცია. 1981 წ.

<u>ქარელის რაიონი</u>

1. ვარიანის დარბაზული ეკლესია. XI ს. რესტავრაციის პროექტი. 1984 წ.
2. ურბნისის ბაზილიკა V ს. რესტავრაციის ესკიზური პროექტი. 1988 წ.

<u>დუშეთის რაიონი</u>

1. საქართველოს სამხედრო გზა. აღდგენილია 1983 წლისთვის.
   - ლომისის წმ. გიორგის ეკლესია. X ს.
   - მერეს ციხე
2. ბზიანას ორნავიანი ბაზილიკა XI ს. ფიქსაცია.
3. ხახმატის ზენა და ქვენა ჯვრის კომპლექსები. რესტავრაციის პროექტი. 1987 წ.
4. არდოტის ისტორიული სოფელი. წინასწარები და გენგეგმის ფიქსაცია. 1991 წ.
5. არდოტის გუმბათიანი ეკლესია. რესტავრაციის პროექტი. 1992 წ.
6. კისტანის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ფიქსაცია. ესკიზური პროექტი.1994წ.
7. მუცოს ისტორიული სოფელი. არასრული ფიქსაცია. 1991 წ.
8. არხოტის საკულტო ნაგებობები (ფიქსაცია ჯგუფთან ერთად) 1992 წ.
9. შატილის ხატები. აღდგენილია 1984 წ.
10. შატილი. გადაუდებელი აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამა. რესტავრაციის პროექტი. 1999 წ.

"SAMANI" LLC
404444650



# CV

## საკვალიფიკაციო მონაცემები

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | გურამ ქალებაშვილი |
| დაბადების თარიღი: | 1957წ. 31 იანვარი |
| მოქალაქეობა: | საქართველოს მოქალაქე |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის 7, ბ. 25 |
| ტელეფონი: | 2 96–51–43; 593 744–936 |
| ელ. ფოსტა | gurqalebashvili@mail.ru |
| განათლება: | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| 1982–1988წ.წ. | სპეციალობა არქიტექტორ–რესტავრატორი |

## პროფესიული გამოცდილების შესახებ

1988–1990წწ. სპეც. სამეცნიერო–კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი "საქრესტავრაცია"

1990წ. დღემდე საქართველოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი

**არქიტექტორ–რესტავრატორი.**

2007 – 2008 წ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

**მთავარი არქიტექტორ-რესტავრატორი**

ენები: ქართული, რუსული.

შესრულებული მნიშვნელოვანი სამუშაოები :

– ახატანის „ იოანე ნათლისმცემლი “ მცირე ეკლესიის კონსერვაცია 1988 წ

– წედისი „ წმ. გიორგის “ კომპლექსი საპროექტო სამუშაოები 1988 წ

– ხახმატის საკულტო კომპლექსი. აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1989-1990წ

– საცხოვრებელი კომპლექსების: (ქისტანი, მუცო, არდოტი) აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1989 წ

– ჩარგალი. პატარა ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1989 წ

– ლომისა. „ წმ. გიორგის “ სამეკლესიანი ბაზილიკა საპროექტო და საფიქსაციო სამუშაოები 1989 წ

– ველისციხე. „ მარიამ ღვთისმშობლის “ ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1989წ

– ველისციხე. სამნავიანი ბაზილიკა საპროექტო სამუშაოები 1989 წ

– წინანდალი. მცირე დარბაზული ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1990 წ

– შიომღვიმე. აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1990 წ

– ორბელიანის მოედნიდან – მარჯანიშვილის მოედნამდე : აზომვითი და საფიქსაციო სამუშაოები 1989 წ

– საჩხერე. „ წმ. ნინოს “ გუმბათიანი ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1990 წ

– გრაკალი. „ მარიამ ღვთისმშობლის “ ეკლესია საპროექტო სამუშაოები 1991 წ

– არდოტის გუმბათიანი ეკლესია 1992 წ. (თანაავტორი)

– ბუზმარეთი. „ მარიამ ღვთისმშობლის “ ეკლესია საპრ. სამუშაოები 1992 წ

– უდე. „წმ. გიორგის “ ეკლესია. საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები — 2006 წ

– მცხეთის ჯვარი — აზომვითი სამუშაოები – 2006 წ

– წრომი. „ მარიამ ღვთისმშობლის “ ტაძარი. სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2006 წ

– ურავლის აგარა. სამონასტრო კომპლექსი. მთავარი ტაძარი და სატრაპეზო. საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები 2007 - 2008 წ

– აბასთუმანი. „ წმ. გიორგის ეკლესია “ საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები 2008 წ

– რუსთაველის გამზირი: № 18 , № 20 < № 22 , № 32 , № 34 , № 36 , № 38 , № 40, საპროექტო და სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2007 – 2008 წ

–გუდიაშვილის ქუჩა : № 5 ა, № 9 , №11 , № 11 ა, № 16 , საპროექტო სამუშაოები

–გუდიაშვილის მოედანი ; აბო თბილელის № 1 , ახოსპირელის № 1, 3, 3–7, გუდიაშვილის № 2, 4, 8, 9, ლერმონტოვის №3, 1–7 საპროექტო სამუშაოები 2008 წ.

– ადიგენი. შოლავერის „ მარიამ ღვთისმშობლის “ ეკლესია, საპროექტო სამუშაოები 2010 წელი

– თბილისის მეტეხი. „ ღვთისმშობლის შობის “ ეკლესია. საპრ. სამუშ. 2009 წ.
– ლაგოდეხი. ხოშათიანის „ წმ. გიორგის “ ეკლესია საპრ. სამუშაოები 2008 წ
– ლაგოდეხი. ჭიკაანის „ მარიამ ღვთისმშობლის “ გუმბათიანი ეკლესია.
საპროექტო სამუშაოები 2008 წ
– მარტყოფი. „ ანტონ მარტომყოფელის “ კოშკი საპროექტო სამუშაოები 2008 წ
(თანაავტორი)
– ნეკრესი. დამხმარე ნაგებობა. 2009 წ (თანაავტორი)
– ყვარელი. სამების ეკლესია. რესტავრაციის პროექტი 2009 წ (თანაავტორი)
– ბოლნისი. ყორანთას „ წმ. გიორგის “ ეკლესია. საპროექტო სამუშაოები. 2009წ
– ყაზბეგი. ტყარშეთის „ წმ. გიორგის “ ეკლესია საპროექტო სამუშაოები 2009წ
– დაბა კოჯორი. უძოს „ წმ. გიორგის “ ეკლესია საპროექტო და სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2010 წ.
– მამკოდა. „ მამკოდის წმ. გიორგის “ ეკლესიის საპროექტო და სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 2010 წ
– ალი. „ მარიამ ღვთისმშობლის “ სახელობის ეკლესია. რეაბილიტაციის პროექტი 2011 წ
– სოფ კოთელია. „ ზარიძეების საგვარეულო “ ეკლესია. რეაბილიტაციის პროექტი 2011 წ
– ბოტანიკური ბაღი. „ თამარის ხიდი “ და „ კოშკი № 1 “ საპროექტო სამუშაოები (თანაავტორი) 2011 წ
– აჭარა. ხიხანის ციხე. საპროექტო სამუშაოები. (თანაავტორი) 2012 წ.
– მლეთა. ლომისას „წმ. გიორგის“ ეკლესია საპროექტო სამუშაოები 2013 წ. (თანა ავტორი).
– ადიგენი. შოლავერის წმ. გიორგის ეკლესია. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2013 წელი
– ახალციხე. ურაველის აგარას სამონასტრო კომპლექსი – სატრაპეზო სარეაბილიტაციო სამუშაოები 2013 წელი
– დაბა წყნეთის წმ. გიორგის ეკლესია საპროექტო სამუშაოები 2013 წ თანა ავტორი
– ადიგენი. პატარა სმადა. „ წმ. გიორგის “ ეკლესია, საპროექტო სამუშაოები 2014 წ.
– კუჭატანის წმ. გიორგის ეკლესია – სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წ

ნ. [signature]
შპს „სამანი“ • "SAMANI" LLC • 404444650

**Curriculum Vitae(CV)**

## პირადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი - | ირემაშვილი შოთა |
| დაბ. თარიღი - | 12.05.1939წ |
| დაბ. ადგილი - | სიღნაღის რ–ნი, სოფ.ვაქირი |
| მოქალაქეობა - | საქართველო |
| მისამართი - | თბილისი, ნუცუბიძის მე–3 პლატო, 1კვარტალი, მე–9 კორპ, ბინა 27 |
| ტელ & ფოსტა - | 557588614 maikoiremashvili@gmail.com |

## განათლება:

1971წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, არქეოლოგიის განხრით.

## სამსახურეობრივი გამოცდილება:

1971–1974 წლებში მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნუსხის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად

1975–1992 წლებში არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ჯერ უმცროს, ხოლო შემდგომ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1993–1995 წლებში მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1996–2004 წლებში არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მეცნიერ თანამშრომლად.

## ექსპედიციები:

წლების მანძილზე მუშაობდა ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ესენია:

კავთისხევის, კახეთის , გლდანის, სვანეთის , დიღმის, მცხეთის, ნიჩბისისხევის, მაშავერას, განთიადის, ატენის ხეობის,ხეკორძულასხევის, ჯერ რაზმის, შემდგომში ექსპედიციის ხელმძღვანელად.

ნაშრომები:

| |
|---|
| 1.მ.ცქიტიშვილი, შ.ირემაშვილი და სხვები, კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საგაზაფხულო სესიის ანგარიშები, თბილისი 1974 წელი. |
| 2. გ-ცქიტიშვილი, შ.ირემაშვილი და სხვები, კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევაძიებანი 1975 წელს, თბილისი 1976წ, გვ 59–60 (რუსულ ენაზე) |
| 3.გ.ცქიტიშვილი, შ.ირემაშვილი და სხვები, კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევაძიებანი 1976 წელს, თბილისი 1979წ |
| 4.შ.ჩართოლანი, შ.ირემაშვილი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევაძიებანი 1976წელს,თბილისი 1979წ, გვ82–86 |
| 5.ვ.ართილაყვა, შ.ირემაშვილი და სხვები, გლდანის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, საველე არქეოლოგიური კვლევაძიებანი 1976 წელს, თბილისი 1979წშ გვ197–204(რუსულ ენაზე) |
| 6.ა.აფაქიძე, შ.ირემაშვილი და სხვები, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევაძიებანი 1977 წელს, თბილისი 1960წ, გვ130–146(რუსულ ენაზე) |

| |
|---|
| 7. А. апакидзе,Ш Иремашвили и др работы в Церовани и Сатовле, Археологические открития 1972 г, Москва 1972г, стр 413-414 |
| 8.ა.აფაქიძე, შ.ირემაშვილი და სხვები, მცხეთა –1977 წლის საველე–არქეოლოგიური კვლევაძიებების შედეგები, მცხეთა V, თბილისი 1981 წელი, გვ 117–119 |
| 9.ა.აფაქიძე, შ.ირემაშვილი და სხვები, მცხეთა–1978 წლის საველე–არქეოლოგიური კვლევაძიების შედეგები, მცხეთა V, თბილისი 1981 წელი, გვ153–170 |
| 10. ა.აფაქიძე, შ.ირემაშვილი და სხვები, დიდი მცხეთა 1979, მცხეთა VI, თბილისი 1982, გვ 191–213 |
| 11. ა.აფაქიძე, შ.ირემაშვილი და სხვები, დიდი მცხეთა 1980, არქეოლოგიური კვლევაძიებების შედეგები, მცხეთა IX, თბილისი 1989 წ, გვ 3–35. |

| |
|---|
| 12. ა.აფაქიძე, შ.ირემაშვილი და სხვები, დიდი მცხეთა 1981წ, საველე არქეოლოგიური კვლევაძიებების შედეგები, მცხეთა IX, თბილისი 1989 წ, გვ 35–70 |
| 13. შ.ირემაშვილი, ნაბაღრების ბრინჯაოს სარტყელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 102 N 1, თბილისი, 1981 წელი, გვ 213–216 |
| 14. შ.ირემაშვილი, ნიჩბისისხევის არქეოლოგიური ძეგლები, შემთხვევითი მონაპოვარი, ძეგლის მეგობარი, N 4, თბილისი, 1987, გვ 63–67 |
| 15. შ.ირემაშვილი, ხეკორძულას ხეობა რკინის ფართოდ ათვისების ხანაში (აბულეთის ქვეყანა) , თბილისი, 1970 წ, გვ1–10 |
| 16.შ.ირემაშვილი, პირველად არქეოლოგიაში ძეგლის მეგობარი, N 39, თბილისი 1975წ, გვ 64–65 |
| 17. შ.ირემაშვილი, გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის სამოვარები შიდა ქართლისგაღმა მხარეში (მასალები გადაცემულია დასაბეჭდათ მცხეთის კრებულში) |
| 18. შ.ირემაშვილი, დაკრძალვის წესი შიდა ქართლის გაღმა მხარის გვიან ბრინჯაო–ადრე რკინის ხანაში სამაროვანებზე, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლტა ატლასი, ტ I (იბეჭდება) |
| 19.შ. ირემაშვილი, გამოქვეყნებულია 42 სტატია, კრებულში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა ტ5, თბილისი 1990 წელი. |
| 20.ოცამდე სტატია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,ტ2, თბილისი,2004წ |
| 21. ვ. ნიკოლაიშვილი, შ.ირემაშვილი და სხვები, ბრინჯაოს საბძოლო– საპარადო ცული ნატახტრიდან, კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა, თბილისი 2010 წელი, გვ 230 |
| 22. ვ.ნიკოლაიშვილი, შ.ირემაშვილი და სხვები, ბრინჯაოს საბრძოლო–საპარადო ცული, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში N4 თბილისი,2011წელი. |
| 23.შ.ირემაშვილი, ხეკორძულასხევის გვიანბრინჯაო–ადრერკინის არქეოლოგიური ძეგლები, მონოგრაფია, ხელნაწერი |

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **თამარ ნემსაძე** |
| მისამართი | თბილისი, ჩიქოვანის ქ. №24ა ბ. 56 |
| | ტელ. 36-78-06; მობ. 899.11.44.78 |
| დაბადების თარიღი | 1.01.1935 |
| დაბადების ადგილი | ქ. თბილისი |
| მოქალაქეობა | საქართველოს მოქალაქე |
| | პირადობის მოწმობის №ბ 1117259 |
| | პირადი №01008021885 |
| განათლება | 1953-1959 |
| | თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით არქიტექტურა. |
| ენები | ქართული, რუსული |

## პროფესიული გამოცდილება

| | |
|---|---|
| 1959-1961წ. | კეთილმოწყობის სამმართველო – არქიტექტორი |
| 1961-1964წ. | თბილქალაქპროექტი – არქიტექტორი |
| 1664-1966წ. | სოფლმშენსახპროექტი – უფრ. არქიტექტორი |
| 1966-1978წ. | სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნო –არქიტ. რესტავრატორი – ჯგუფის ხელმძღვანელი |
| 1978-1981წ. | ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო – პროექტის მთავარი არქიტექტორი |
| 1981-1990წ. | სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება II საპროექტო განყოფილების უფროსი. |
| 1990-1997წ. | საპროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია" პროექტის მთავარი არქიტექტორი – ჯგუფის ხელმძღვანელი |
| 1997-2006წ. | ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი №1 სახელოსნოს უფროსი. სამეცნიერო ხელმძღვანელი |
| 2006-2008წ. | საქ. საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრი. – არქიტ. რესტავრატორი სამეცნ. საბჭოს წევრი. |

## გამოქვეყნებული სტატიები:

1. ძეგლის მეგობარი №17. 1968წ. – ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირველი ფორმის დადგენის ცდა
2. ძეგლის მეგობარი №25 – 1971 – დარბაზი სოფ. ჭაჭკრიდან
3. ძეგლის მეგობარი №58 – 1979 – ძეგლის აღდგენის ერთი მაგალითი
4. ძეგლის მეგობარი №60 – 1982 – „გუმბათიან საყდარზე" ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ.
5. ძეგლის მეგობარი №4 – 1987 – აგარა-ყიზილ დერესი. სარესტავრაციო სამუშაოები
6. ძეგლის მეგობარი №2 – 1993 – ხოსპიოს ეკლესია

## ძეგლების რეაბილიტაციის პროექტირების გამოცდილება
## განხორციელებული პროექტები

1. ქუთაისის ყველაწმინდის გუმბათიანი ეკლესია XVIს.
2. ატენის სიონის გუმბათი Xს.
3. ზედა ვარძია – X-XIIს.
4. ხეილიშა – VIII-IXს.
5. აგარა – ყიზილ დერესი VIII-IXს.
6. ხოსპიო I – Xს.
7. ხოსპიო II – XIVს.
8. გავეთი. წმ. გიორგის ეკლესია – XIVს.
9. დუმეილა – VIIIს.
10. ალანძა – VIIIს.
11. ვანის ქვაბის მხირე ეკლესია
12. ყვარელის ცხრაკარა
13. საფარის სამონასტრო კომპლექსი:
    1. „საბა წმინდა" - გუმბათიანი ტაძარი XIII-XIVს
    2. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია – Xს.
    3. წმ. გიორგის ეკლესია – XVIIს.
    4. იოანე ოქროპირის ეკლესია, მცირე სამლოცველოები
    5. სამონასტრო ნაგებობა XIXს.
14. რკონის სამონასტრო კომპლექსი
    1. ბაზილიკა
    2. სამრეკლო
    3. სატრაპეზო
    4. ნათლისმცემლის ეკლესია
15. „გუმბათიანი საყდარი" კურტანაძეულების ხევში. Xს.
16. ახჩია. დაბაზული ეკლესია ვარძიასთან. Xს.
17. ფია. მცირე ეკლესია. Xს.
18. ხეოთისკომპლექსი – X-XVIს.
19. დავით-გარეჯა. ლავრა. საცხოვრებელი კოშკი გალერეით.
20. ანდრიაწმინდა (ახალციხის რ-ნი) – Xს.

21. კუმურდო. ნაწილობრივი აღდგენა გუმბათის სარტყელის სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მკლავების გადახურვები.
22. ვარძია. სატრაპეზო, გამოქვაბულები ეკლესიასთან, კეთილმოწყობითი სამუშაოები
23. ვარძია. სტიქიური ნგრევის შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელმძღვანელობა
24. ბურნაშეთი. წმ. გიორგის ეკლესია Xს.
25. სოფ. თოფის ეკლესია – XIVს.
26. რადიონოვკა – ფარავნა დარბული ეკლესია Xს.
27. ფოკა. წმ. ნინოს ეკლესია
28. ახალციხე. რაბათი „ციხის კარი" - ვიადუკი
29. პრტენა. დარბზული ეკლესია
30. სვანეთი. ხვიფი. „ჯვგრაგ"
31. ფხოტრერი. მთავარანგელოზის ეკლესია „თარინგზედ"
32. მესტია. ლალამი „მაცხვარიში"
33. ატენის სიონი. სუბსტრუქციის აღდგენითი სამუშაოები.
34. სოფ. განძაში 2 ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები
35. სამრეკლო საყუნეთში.

ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატები – აზომვა, პროექტირება, განხორციელება თბილისის მუზეუმში.

36. დარბაზი სოფ. ჭაჭკრიდან
37. სოფ. მარანი. ოდა-სახლი
38. სოფ. მთისძირი – ოდა-სახლი
39. სოფ. წითელი მთა – ოდა სახლი
40. სოფ. ტოლა – საცხ. სახლი
41. სვანური კოშკი
42. სამზადი სახლები, ნალიები და სხვ.

განუხორციელებლი პროექტები:

1. დანკალი. ორნავიანი ეკლესია. Xს.
2. გიორგიწმინდა (ასპინძის რ-ნი). Xს.
3. ლართა (ასპინძის რ-ნი). Xს
4. ტამალა. წმ. გიორგის ეკლესია. Xს.
5. ხცისი. „იოანე ნათლისმცემლის" ეკლესია. Xს.
6. თოკის კომპლექსი. IX-XIVს.
7. ობოლეთი, ორნავიანი ეკლესია Xს. – აღდგენილია
8. კუმურდო. სამხრეთი მინაშენის აღდგენის სამუშაო პროექტი, სამხრეთი კარიბჭის აღდგენის პროექტი, ტაძრის კონსერვაციის ესკიზური პროექტი და სხვ..

აზომვითი სამუშაოები ჯგუფთან ერთად

ჯგუფის ხელმძღვანელი

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებისა

1. შატილის კომპლექსი
2. რაბათის ციხის კომპლექსი
3. შალოშეთი
4. თისელი
5. ახალქალაქის ციხე
6. შორეთი
7. ქუმის საყდარი
8. წმ. მარიამის კომპლექსი კურტანაძეულების ხევში
9. რიყისპირის ყველაწმინდა
10. ოზაანი
11. კარდანახის საბაწმინდა
12. კარდანახის წმ. ნიკოლოზის ეკლესია
13. ახმეტის ღვთაება
14. არადეთი
15. ლიკანის მონასტერი
16. ჩითახევი
17. ბზიანა (მცხეთის რ-ნი)
18. წუნდა
19. ჯაბიეთი
20. სვანეთის ეკლესიები: ნაკიფარი, ლენჯერის მთავარანგელოზი, მაცხვარიში, იენაში... მესტია. სეტი. ფალიანების საცხ. კომპლექსი, სვანეთის კოშკები და სხვ...

---

- კონცეფცია ვარძიის სამონასტრო ანსამბლზე ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. – 2002წ.
- ვარძია. ალმოსავლეთი გვირაბის მდგომარეობის აღწერა და სარეაბილიტაციო სამუშაოები – 2005წ.
- ვარძიისა და მისი შემოგარენის დაცვისა და მდგრადი განვითარების კონცეფცია – 2002წ.
- ტურიზმის განვითარების კონცეფცია მტკვრის ზედა წელის (ხერთვისი-ვარძია) არეალში – 2002წ.
- ვარძიის და მისი შემოგარენის დაცვითი ზონა – 2001წ.
- დირბის ღვთისმშობლის სახ. მონასტრის ისტორიულ ნაგებობების აღდგენისა და პერსპექტიული განვითარების კონცეფცია. 2004წ.

შპს "სამანი" • "SAMANI" LLC
404444650

**კუმურდოს (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა**

| # | დასახელება | თანხა ლარებში |
|---|---|---|
| 1 | განმარტებითი ბარათ | 375.00 |
| 2 | საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000; | 625.00 |
| 3 | ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500; 1:200; | 1250.00 |
| 4 | სისტემატიზირებული ფოტომასალა | 400.00 |
| 5 | ეკლესიის არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების კორექტირებისა და სრულყოფის საველე სამუშაოები ლოკალურ დაზიანებათა დატანით | 5000.00 |
| 6 | არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დაზუსტება და სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვითა და ელექრონულ ფორმატში გადაყვანით და გამოხაზვა-დამუშავებით; | 6107.52 |
| 7 | არქეოლოგიური კვლევის ჩატარება ტაძრის არარსებული ნაწილების მოძიების მიზნით | 1000.00 |
| 8 | შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები; | 600.00 |
| 9 | რეაბილიტაციის წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება | 1000.00 |
| 10 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები | 625.00 |
| 11 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 1); | 250.00 |
| 12 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა დანართი 2) | 250.00 |
| | პირდაპირი ხარჯები | **17482.52** |
| | ზედნადები ხარჯები 10 % | 1748.25 |
| | სულ | 19230.77 |
| | გეგმიური დაგროვება 4% | 769.23 |
| | სულ | **20000.00** |

შპს "სამანი"-ს დირექტორი ნ. [signature] /ნოდარ მინდორაშვილი/

შპს "სამანი" "SAMANI" LLC 404444650

კუმურდოს (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გეგმა-გრაფიკი

| N | პერიოდი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | 26 აგვისტოს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | განმარტებითი ბარათ |  |  |  | ■ | ■ |
| 2 | საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000; | ■ | ■ | ■ |  |  |
| 3 | ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500; 1:200; | ■ | ■ | ■ |  |  |
| 4 | სისტემატიზირებული ფოტომასალა | ■ | ■ |  |  |  |
| 5 | ეკლესიის არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების კორექტირებისა და სრულყოფის საველე სამუშაოები ლოკალურ დაზიანებათა დატანით | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
| 6 | არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დაზუსტება და სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვითა და ელექრონულ ფორმატში გადაყვანით და გამოხაზვა-დამუშავებით; | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
| 7 | არქეოლოგიური კვლევის ჩატარება ტაძრის არარსებული ნაწილების მოძიების მიზნით | ■ | ■ |  |  |  |
| 8 | შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები; |  |  | ■ | ■ |  |
| 9 | რეაბილიტაციის წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება |  |  | ■ | ■ | ■ |
| 10 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები |  | ■ | ■ |  |  |
| 11 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 1); |  |  |  | ■ | ■ |
| 12 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა დანართი 2) |  |  |  | ■ | ■ |

შპს "სამანი"-ს დირექტორი /ნოდარ მინდორაშვილი/

შპს "სამანი" SAMANI LLC 404444650